როგორ იქმნებოდა საქართველო

სამოქალაქო განათლება - მულტიკულტურული საქართველო

გაკვეთილის გეგმა საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლისთვის

ავტორი: თამთა ჭიჭავაძე

გაკვეთილი მომზადდა სერიის “როგორ იქმნებოდა საქართველო” ფარგლებში.

პროექტის მიზანია, მოგვითხროს თბილისის მდიდარ ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, წარმოაჩინოს იმ უმცირესობების წვლილი, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შექმნეს საქართველოს საერთო ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა.

2025

კაკვეთილის შესახებ:

შესავალი და კაკვეთილის მიზანი:

გაკვეთილის მიზანია მოსწავლეებთან ვისაუბროთ საქართველოს განვითარებაში სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების როლზე. კონკრეტული მაგალითების განხილვით მოსწავლეები დაინახავენ მულტიკულტურული საზოგადოების უპირატესობებს, განივითარებენ ტოლერანტობისა და ემპათიის უნარს სხვა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეების მიმართ.

მასწავლისა ორგანიზების ფორმები	კაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები
1. მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან; 2. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად; 3. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად.	1. გონებრივი იერიში; 2. ჯგუფური მუშაობა; 3. მინილექცია; 4. დისკუსია; 5. ინტეგრირებული სწავლება; 6. თვითრეფლექსია.

სასწავლო მასალა და ინვენტარი:

1. პროექტორი;
2. ლეპტოპი ან კომპიუტერი;
3. ფერადი ფურცლები;
4. კალმები;
5. ამობეჭდილი ისტორიები ჯგუფური სამუშაოსთვის (**დანართი 1**);
6. გამზადებული სლაიდი მინილექციისთვის (**დანართი 2**);
7. ციფრული რუკა ვიზუალიზაციისთვის და ამობეჭდილიც მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით (**დანართი 3**);
8. padlet.com-ზე გამზადებული ბმული თვითრეფლექსიისთვის.

გაკვეთილის მსვლელობა:

ეტაპი I

- მასწავლებელი ესალმება მოსწავლეებს და აცნობს გაკვეთილის თემასა და მიზანს.
- მასწავლებელი სვამს ინტერაქციულ შეკითხვას მულტიკულტურული საზოგადოების მნიშვნელობაზე დისკუსიის დასაწყებად (რას ნიშნავს მულტიკულტურული საზოგადოება?).
- მოსწავლეები თავიანთ მოსაზრებებს მოკლედ ფერად ფურცლებზე წერენ და დაფაზე აკრავენ.
- მასწავლებელი ყველა მოსწავლის პასუხს ხმამაღლა კითხულობს, არ აკეთებს კომენტარებს და არ აძლევს მათ უკუკავშირს.
- მასწავლებელი სვამს შემდეგ შეკითხვას: კარგია თუ ცუდი მულტიკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრება?
- მოსწავლეები ხელის აწევით გამოთქვამენ თავიან მოსაზრებებს.

ეტაპი II

- მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად, თითოეულს აძლევს ამობეჭდილ თითო ისტორიას კითხვებითურთ. (**იხ. დანართი #1**).
- მოსწავლეები ეცნობიან ისტორიებს და პასუხობენ დასმულ კითხვებზე ჯგუფებშივე; მსჯელობენ ეთნიკურად განსხვავებული ადამიანების როლზე ქართული საზოგადოების განვითარების პროცესში.
- მოსწავლეები ჯგუფური სამუშაოს დასრულების შემდეგ რიგ-რიგობით თავიანთ ისტორიებს აცნობენ სხვა ჯგუფებს და ხაზს უსვამენ, რა იყო გამორჩეული მათ ისტორიაში.

ეტაპი III

- მასწავლებელი სვამს კითხვას: იცოდით თუ არა, რომ საქართველოში ოდითგანვე და ახლაც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები ცხოვრობენ? და, ისმენს მოსწავლეების პასუხებს.
- მასწავლებელი ეკრანზე გამოაჩენს სტატისტიკურ მონაცემებს და მოსწავლეებს წარუდგენს საქართველოს მულტიკულტურულ გარემოს და ოფიციალურ მონაცემებს სხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. (**იხ. დანართი #2**).

- მასწავლებელი ხაზს უსვამს იმას, რომ ოდითგანვე საქართველოში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის განვითარებაში, არქიტექტურაში, კულტურაში, ხელოვნებაში, მუსიკაში, ეკონომიკაში და სხვა. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მულტიკულტურული გარემოს უპირატესობებზე.
- მასწავლებელი მოსწავლეებს ეკრანზე აჩვენებს ძველი თბილისის რუკას (**იხ. დანართი #3**), სადაც მონიშნულია რამდენიმე რელიგიური სალოცავი და ძეგლი, რომელიც აჩვენებს თბილისს, როგორც ისტორიულად მულტიკულტურულ ქალაქს. მოკლედ უყვება მათ შესახებ. იწყებს ქვემო ბეთლემის, შემდგომ ზემო ბეთლემის ისტორიით, გადადის ათეშგაზე, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავი იყო ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ქრისტიანობა დამკვიდრდებოდა საქართველოში, ახსენებს ებრაელების სინაგოგას, რომ იგი 1910 წელს აიგო. შემდეგ სვამს კითხვას - გაგიგიათ თუ არა, ვინ იყო სერგეი ფარაჯანოვი? და, პასუხების მოსმენის შემდეგ, მოკლედ ყვება მის ისტორიასაც. აღნიშნავს, რომ ის იყო მე-20 საუკუნის გამოჩენილი სომხური წარმოშობის ქართველი კინორეჟისორი. შემდეგ მასწავლებელი ყვება სომხურ ეკლესიასა და მეჩეთზე.
- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ამობეჭდილ რუკებს, რაც უკვე მათ გააცნო და აძლევს დავალებას, გაისეირნონ აღნიშნული მარშრუტის მიხედვით ძველ თბილისში (თუ ისინი დედაქალაქში ცხოვრობენ, თუ რეგიონში, მაშინ შესაძლებელია ვირტუალურად Google Map-ით დათვალიერებაც), დააკვირდნენ ძველ შენობებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, აარჩიონ ერთი, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე სხვა ეთნიკური წარმომავლობის ისტორიულ პირთან, გადაიღონ ფოტოები, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია და დაწერონ სტატია.

ფაზა IV - შეჯამება/რეფლექსია

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ერთი სიტყვით შეაჯამონ გაკვეთილის მთავარი სათქმელი;
- მასწავლებელი კიდევ ერთხელ იხსენებს ჯგუფური სამუშაოს დროს განხილულ სამ ისტორიას და ხაზს უსვამს იმას, რომ მსგავსი უცნობი და ნაცნობი არა ქართველი ადამიანები, რომლებსაც ქართული საზოგადოების განვითარებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი, კიდევ ბევრია;
- მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადავიდნენ პლატფორმა padlet.com-ის ბმულზე, რომლის QR კოდიც ეკრანზე გამოჩნდება. ბმულის გახსნის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ სამ შეკითხვას: რა ვიცოდი დღევანდელი გაკვეთილიდან? რა სიახლე გავიგე დღევანდელ გაკვეთილზე? კიდევ რა მინდა გავიგო მულტიკულტურულ საქართველოზე?
- მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, ხომ არ სურთ დამატებითი კომენტარის გაკეთება თემასთან დაკავშირებით და ემშვიდობება შემდეგ გაკვეთილამდე.

დანართი #1

1. მიხეილ არამიანცი



1924 წელი - გაკულაკებულ, საკუთარი სახლის სარდაფში გარდაცვლილ მილიონერს თეთრი კატაფალკითა და შავი ცხენებით მიასვენებენ ხოჯევანგის სასაფლაოსკენ - ასე, ძველი თბილისის მეცენატის, ბიზნესმენისა და ქველმოქმედ მიქაელ არამიანცის მიმართ გამოხატავს პატივისცემას.

მისი ისტორიის რეტროსპექტივამდე, იმ ხელშესახებ ადგილებსა თუ შენობებზე გეტყვით, რაც მეცენატისგან თბილისს დღემდე შემორჩა, ესენია: არამიანცის საავადმყოფო - მილიონმანეთიანი საქველმოქმედო პროექტი, პირველი კლინიკური და იმ დროისთვის, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი დაწესებულება, სადაც ადამიანებს უფასოდ მკურნალობდნენ. ხარჯებს მიქაელ არამიანცი სრულად ანაზღაურებდა. ასევე, სასტუმრო „მაჟესტიკი“ რუსთაველის გამზირზე (დღეს მის ადგილას “თბილისი მერიოტია”), სასტუმრო „არფასტო“ (ამჟამად, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი), არამიანცის სახელს, გარკვეულწილად, უკავშირდება კავკასიაში ნავთობის ინდუსტრიის განვითარებაც. ასევე, თბილისს შემორჩა უნიკალური არქიტექტურის მქონე არაერთი „შემოსავლიანი სახლი“, რომელიც მან ააგო. ბიზნესმენის სახლთან, მაჩაბლის ქუჩაზე დღესაც შენიშნავთ მისი სახელობის მემორიალურ დაფას.

ეს არის ამბავი მეცნიერებით გატაცებულ ბავშვზე, რომელიც ტფილისის გიმნაზიაში სწავლაზე ოცნებობდა. პირველი სამსახური 15 წლის ასაკში, ხალიჩების საამქროში დამხმარე მუშის პოზიციაზე დაიწყო, ხოლო უკვე 28 წლის ასაკში, როცა პირველი მილიონს მოუყარა თავი, თბილისის ვაჭრების უმაღლესი გილდიის წევრი გახდა.

თბილისში, მიქაელ არამიანცმა გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის გამზირი) სასტუმრო „მაჟესტიკის“ მშენებლობა გადაწყვიტა. პროექტი საკმაოდ ამბიციური იყო. შენობის აგება არამიანცმა იმ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ არქიტექტორს - გაბო ტერ-მიქელოვს დაავალა. არქიტექტორის მისია იყო აეგო მეცენატის საყვარელი გემის - „მაჟესტიკის“ მსგავსი შენობა. არამიანცმა იგი ევროპაში გაგზავნა, რათა საუკეთესო ევროპული სასტუმროების არქიტექტურა დეტალურად შეესწავლა. მშენებლობა 1915 წელს დასრულდა. „მაჟესტიკის“ პროექტი, რომელშიც განსაკუთრებული გემოვნებით იყო შეზავებული ბაროკოსა და რენესანსის მოტივები, პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედლით დაჯილდოვდა. 1912-1915 წლებში, გოლოვინის პროსპექტი ახალი არქიტექტურული შედევრებით დამშვენდა. მდიდრული სასტუმროს ფასადი ქუჩასთან ერთად უხვევდა და ქალაქის რთულ რელიეფს ერწყმოდა. სასტუმროს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა ვერ მოასწრეს, რადგან პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. შემდეგ,. სხვადასხვა დროს, მაჟესტიკი ჯერ ლაზარეთის ფუნქციას ასრულებდა, მოგვიანებით კი, კომუნისტებმა სასტუმროს სახელი შეუცვალეს და „თბილისი“ დაარქვეს. ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, მეცენატს საკუთრებაზე უფლება ჩამოერთვა.

1903 წლის 14 აპრილს, არამიანცმა ქალაქის თავს წერილი მისწერა: “მაქვს პატივი, ვაცნობო თქვენს ბრწყინვალებასა, რომ ქალაქის საავადმყოფოს მშენებლობას 100 000 მანეთს ვწირავ“. წერილში არამიანცი გამოთქვამდა სურვილს, რომ საავადმყოფოს მისი სახელი დარქმეოდა, მეცენატის დაფინანსებით, ქალაქის არქიტექტორმა პავლე ზურაბიანმა პირველი შენობა ააგო, რომელშიც უახლესი სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი თერაპევტული განყოფილება განთავსდა. მიქაელ არამიანცმა ჩამოუტანა რენტგენის აპარატი, რომელიც იმ დროისთვის, მთელ რეგიონში იშვიათი მოვლენა იყო. 1909 წლის 21 დეკემბერს გახსნილი კომპლექსი ქალაქი-საავადმყოფო იყო, რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებით. მიქაელ არამიანცი საკუთარი სახსრებით ინახავდა შენობას, იხდიდა ავადმყოფების გადასახადებს და თანამშრომლების ჯამაგირსაც თავად ანაზღაურებდა. მიქაელ არამიანცი, რომელიც ერთ დროს, კავკასიის უმდიდრეს ადამიანად იწოდებოდა, სიღარიბეში გარდაიცვალა.

(წყარო: წიგნი „ბიზნეს ისტორიები საქართველოდან“, MARKETER.GE, 2023)

გაეცანით ტექსტს და იმსჯელეთ შემდეგ კითხვებზე:

1. რა მნიშვნელობა ჰქონდა მიქაელ არამიანცის მიერ საავადმყოფოს აშენებას იმ დროს, როცა ის გაკეთდა?
2. მიქაელ არამიანცის მაგალითმა დაგვანახვა, რომ შეიძლება იყოს წარმატებული ბიზნესმენი, რომელიც ემსახურება მთელი საზოგადოების კეთილდღეობას, მიუხედავად იმისა, რა ეროვნებას ეკუთვნის. როგორ ფიქრობ, რას ამბობს ეს მისი პიროვნული ღირებულებების შესახებ?
3. როგორ ფიქრობთ, რა იყო მთავარი, რაც მან საქართველოს დაუტოვა?

ალბათ, ყველას გაგიგიათ Siemens-ის ტექნიკა. მაგრამ შეიძლება არ იცოდეთ, რომ Siemens-ის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსთან. მე-19 საუკუნის მიწურულს ჩვენთან დაწყებულ ინდუსტრიულ რევოლუციას სწორედ ეს გერმანელი ძმები ედგნენ სათავეში. დღევანდელმა ტექნოლოგიურმა გიგანტმა - Siemens, ევროპის უმსხვილესი მწარმოებლობისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯები, სწორედ საქართველოში გადადგა. ტელეგრაფი, ელექტროობა, ტრამვაი, ქუჩის განათებები, ასფალტი და უამრავი სხვა ინდუსტრიული მონაპოვარი, თბილისში ამ ძმებმა დანერგეს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ძმებმა სიმენსებმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელეს თბილისისათვის. სწორედ მათ სახელს უკავშირდება დედაქალაქის ქუჩების ელექტრიფიკაციის საქმე, მოგვიანებით კი, ტრადიციული თბილისური კონკის ჩანაცვლება ევროპული ტრამვაით, რომელმაც საუკუნეზე მეტ ხანს იფუნქციონირა. ამბობენ, რომ პირველი ლიფტი, თბილისში სწორედ გერმანელ "სოლოლაკელ ძმებს" ჰქონიათ, რაც იმდროინდელი ყოფისთვის დიდ ფუფუნებად მიიჩნეოდა.

მეცხრამეტე საუკუნის 60-ან წლებში, რუსეთის იმპერიაში მუშაობისას, ძმები რამდენჯერმე ესტუმრნენ საქართველოს. 1860 წელს "სიმენსი და ჰალკეს" წარმომადგენლობა თბილისში გაიხსნა და საქმეს ვერნერის ძმა, ვალტერი ჩაუდგა სათავეში. ამავე წელს, თბილისი-ქუთაისი-ფოთის დამაკავშირებელი ტელეგრაფის ხაზი გაიყვანეს, ხოლო მომდევნო წლებში - თბილისი-მოსკოვი, თბილისი-ერევანი და თბილისი-ბაქო გადამცემი ინფრასტრუქტურა მოეწყო.

იმ პერიოდის თბილისში, დასავლური ამბები რუსეთის გავლით, ფოსტის მეშვეობით შემოდიოდა. ხშირად ეს პროცესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ჭიანურდებოდა და "ახალ ამბებს" თბილისელები 2-3 კვირის დაგვიანებით ეცნობოდნენ. ტელეგრაფმა ინფორმაციის მიმოცვლა მნიშვნელოვნად დააჩქარა და 60-ანი წლების ბოლოდან, თბილისურ ელიტას უკვე ცინცხალი ამბებისთვის თვალ-ყურის მიდევნების შესაძლებლობა გაუჩნდათ.

სიმენსების ოჯახი საკომუნიკაციო ბიზნესის გარდა, სხვა საქმეებითაც იყო დაკავებული. კომპანიის დამფუძნებელი, ვერნერ სიმენსი საქართველოს პირველად 1865 წელს ესტუმრა და იმდენად მოიხიბლა, რომ საკუთარ მემუარებში წერდა: "კავკასიური ძეგლების სიძველე ასწლეულებით კი არ იზომება, როგორც ევროპაში, არამედ ათასწლეულებით. ეს ყოველივე იმას მოწმობს, რომ კავკასიაში არის კაცობრიობის კულტურის აკვანი". თბილისის კოლორიტით აღტაცებულმა ვერნერმა მას "აზიის პარიზიც" კი უწოდა. სწორედ მის პირველ ვიზიტს უკავშირდება სიმენსისა და გრიგოლ ორბელიანის შეხვედრა, რომელზეც მათ საქართველოში, კერძოდ კი დედოფლისწყაროსა და მირზაანში ნავთობის მოპოვების საკითხი განიხილეს. ამ საბადოებზე, იმ დროს, უკვე მიმდინარეობდა მოპოვებითი სამუშაოები რუსი მეწარმის, ჩირიკოვის ხელმძღვანელობით; თუმცა, 1867 წელს, ხაზინაში 12 000 მანეთის შეტანის სანაცვლოდ, სიმენსები თავად ჩაუდგნენ პროცესს სათავეში. მოგვიანებით, უკვე ვერნერის გარდაცვალების შემდეგ, 1903 წელს, სწორედ სიმენსებმა გაიყვანეს იმ დროისთვის მსოფლიოს ყველაზე გრძელი ნავთობსადენი ბაქოდან ბათუმამდე.

ვერნერ ფონ სიმენსის მეორე სტუმრობა საქართველოში 1868 წელს შედგა, როდესაც ინდო-ევროპული ტელეგრაფის მშენებლობასთან დაკავშირებული დეტალების განსახილველად, ადგილობრივ მთავრობას შეხვდა. რასაკვირველია, სიმენსს დიდი პატივით დახვდნენ და მშენებლობის ნებართვაც მისცეს, რამაც თბილისი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ტელეგრაფის ხაზის ცენტრად აქცია.

აღსანიშნავია, რომ 1921 წელს საბჭოთა რეჟიმის დამყარების მიუხედავად, სიმენსები არ გასულან საქართველოდან. 1930 წელს, მათი პროექტით დაიწყო ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხნის მშენებლობა, ხოლო 2 წლის თავზე, ქარხანა სწორედ Siemens-ის წარმოების ღუმელებით აღიჭურვა.

ვერნერ ფონ სიმენსის წვლილი საქართველოს ინდუსტრიის განვითარებაში შეუფასებელი იყო, თუმცა, ამ საქმეში, არანაკლები როლი ითამაშეს მისმა ძმებმა ვალტერმა და ოტომ.

როგორც უკვე ვთქვით, 1860 წელს თბილისში Siemens-ის წარმომადგენლობა გაიხსნა, რომელსაც ვალტერ სიმენსი მართავდა. ტელეგრაფის ხაზებით საქართველოს პრაქტიკულად სრულად მოცვის შემდგომ, 1866 წელს იგი თბილისში პრუსიის კონსულად მოავლინეს, რის შემდეგაც სიცოცხლის ბოლომდე სოლოლაკში, დღევანდელი ასათიანის ქუჩის 30 ნომერში დაფუძნდა, სადაც მისი მემორიალური დაფაც გვაქვს შემორჩენილი. ვალტერის საქმიანობას და საქართველოს მიმართ თბილ დამოკიდებულებას, თბილისის საზოგადოება

დიდად აფასებდა და სიყვარულის ნიშნად, "კავკასიის ტელეგრაფის მამადაც" კი შერაცხეს. ვალტერი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა და ვერის სასაფლაოზე, დიდი პატივითაა დაკრძალული, თუმცა მისი საფლავის ზუსტი ადგილი დაკარგულია.

ვერნერის მეორე ძმა, ოტო სიმენსი, ქიმიითა და გეოლოგიით იყო გატაცებული და უფროსი ძმის რჩევით, იგი ვალტერთან ერთად საქართველოში დასახლდა. აქ ოტო საოჯახო ბიზნესის ნავთობისა და ლითონების მოპოვების ხაზს ჩაუდგა სათავეში და ქართველ მოღვაწეებთან ერთად, აქტიურად ეწეოდა ქველმოქმედებასაც. ოტომ პირველმა აღმოაჩინა, რომ ნავთობის გადამუშავებით მიღებული ნარჩენებისგან ასფალტის წარმოება იყო შესაძლებელი და თბილისის ქუჩები ამ მასალით მან მოაპირკეთა. იმ დროინდელ სამეცნიერო წრეებში, ოტო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მას პატივს სცემდნენ არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთლიან კავკასიის ოლქში. ვალტერის მსგავსად, იგიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, სავარაუდოდ ქოლერით და თბილისის ელიტამ, ოტოც ვერის სასაფლაოს მიწას მიაბარა.

(წყარო: Entrepreneur Georgia; წიგნი „ბიზნეს ისტორიები საქართველოდან", MARKETER.GE, 2023).

გაეცანით ტექსტს და იმსჯელეთ შემდეგ კითხვებზე:

1. როგორ ფიქრობთ, რა გავლენა იქონიეს ძმებმა სიმენსებმა საქართველოს სამომავლო ტექნოლოგიურ განვითარებაზე?
2. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს მრავალეთნიკური ჯგუფების თანამშრომლობა ქვეყნის განვითარებისათვის?
3. რომელ აქტივობას გამოარჩევდით ძმები სიმენსების საქართველოში მოღვაწეობიდან ყველაზე მნიშვნელოვნად?



უზარმაზარია საქართველოში 1892 წელს დაბადებული პოლონელი მხატვრის კირილე ზდანევიჩისა და მისი ძმის, ილიას (მწერალისა და ხელოვანის, ქართული ავანგარდის ლიდერის) როლი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციაში. ზდანევიჩი ფიროსმანაშვილის შემოქმედებას 1913 წელს არდადეგებზე თბილისში ჩამოსული გაეცნო. ის პირადადაც შეხვდა მხატვარს. მისი შემოქმედება დიდ მხატვრულ მოვლენად მიიჩნია, შეაგროვა ნ. ფიროსმანაშვილის ნამუშევრები, დაწერა და გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნი, ნარკვევი და სტატია მხატვრის შესახებ (მონოგრაფიები 1963, 1964, 1965).

გაზეთებში „ზაკავკაზსკაია რეჩ" და „ვოსტოკ" მან გამოაქვეყნა წერილები ნ. ფიროსმანაშვილის შესახებ (ერთ-ერთი პირველი წერილი 1914 დაიბეჭდა). 1916 წელს კი ძმასთან ერთად მოაწყო ნ. ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ერთდღიანი გამოფენა თბილისში. იგი ფიროსმანაშვილის თემით დაინტერესებული იყო სიცოცხლის ბოლომდე.

აღსანიშნავია, რომ ძმები ზდანევიჩების ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა სწორედ ნიკო ფიროსმანის შემოქმედების აღმოჩენა იყო. კირილე ზდანევიჩი თავის დღიურში წერს: „ახლა, ფიროსმანის გაცნობის შემდეგ, მე ვიცი, რა არის ცხოვრება". ასე გახდა კირილეს და მისი ძმის, ილიას მთელი ცხოვრების თანამდევი ნიკო ფიროსმანის ხელოვნებით გატაცება. ზდანევიჩები ცხოვრების ბოლომდე ეწეოდნენ ფიროსმანის ხელოვნების პოპულარიზაციას. კ. ზდანევიჩმა ფიროსმანაშვილის ნახატების საკუთარი კოლექცია უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს.

1914 წელს კირილე ომში გაიწვიეს, როგორც უმცროსი ოფიცერი. მხატვარს არც ფრონტზე დაუკარგავს უქმად დრო, მან სანგრებში, მცირე შესვენებების დროს, მრავალი ნახატი თუ ესკიზი შეასრულა. 1917 წელს დემობილიზებული კირილე ზდანევიჩი თბილისში ჩამოდის და მაშინვე ქალაქის მხატვრულ-კულტურულ ცხოვრებაში ერთვება, ქალაქის, რომელიც „ძალიან მცირე დროის განმავლობაში მსოფლიოს იმ ადგილად იქცა, სადაც თავისუფლებას თავისი ნავსაყუდელი ეგულებოდა“.

მაშინდელი თბილისი დასავლეთის მოდერნიზაციის რიტმს საკმაოდ ჩამორჩებოდა, თუმცა, ქალაქის კულტურულ-ისტორიული ფონი მის ფანტასმაგორიას განსაზღვრავდა. ქალაქი სხვადასხვა ფერადებით ნაქსოვ სპარსულ ხალიჩას ჰგავდა, სადაც თითოეულ დეკორს თვისი ადგილი ჰქონდა და საოცარი სილამაზე შეჰქონდა ერთიან ჰარმონიაში. ეს აზიურ-ევროპული ქალაქი სავსე იყო მრავალგვარი ჟღერადობით, სურნელით, სამოსით, ენითა თუ ტრადიციით. აქ მართლაც შეერწყა აღმოსავლეთი დასავლეთს და სრულიად სპეციფიკური, გამორჩეული ქალაქის სახე შექმნა. როგორც უკვე ვთქვით, 1910-იანი წლების მეორე ნახევარში, აქ რუსი თუ ქართველი ავანგარდისტებიც გამოჩნდნენ და თავიანთი უცნაური მხატვრული სახეებით კიდევ უფრო ააფერადეს თბილისის მრავალფეროვნება. ამ „ფანტასტიკურ ქალაქში“ ძმები ზდანევიჩები ავანგარდული ხელოვნების მესაჭეები არიან.

(წყარო: ეთნოსები საქართველოში, სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, 2008 წელი; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართული ენციკლოპედიის ი.აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია).

გაეცანით ტექსტს და იმსჯელეთ შემდეგ კითხვებზე:

1. რა როლი აქვთ ეთნიკურად პოლონელ ძმებს საქართველოს კულტურაში? რომ არა ისინი, რას დავკარგავდით?
2. როგორ ფიქრობთ, მოიპოვებდა თუ არა ზდანევიჩების მიერ ორგანიზებული გამოფენების და დაწერილი სტატიების გარეშე ფიროსმანის ხელოვნება ამხელა პოპულარობას?
3. როგორ ფიქრობთ რამდენად მულტიკულტურული იყო იმდროინდელი საქართველო?

საქართველოს მოსახლეობა ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით



მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლის აღწერით

- ქართველი (3,224,564)
- აზერბაიჯანელი (233,024)
- სომეხი (168,102)
- რუსი(26,453)
- ოსი (14,385)
- იეზიდი (12,174)
- უკრაინელი (6,034)
- ქისტი (5,697)
- ბერძენი (5,544)
- ასირიელი (2,377)
- ებრაელი (1,405)
- სხვა (12,941)

წყარო: საქსტატი

შენიშვნა 1: საქსტატი ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში ვერ ატარებს აღწერას, შესაბამისად, ინფოგრაფიკაზე მოცემული მონაცემები საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ჩატარებული აღწერის შედეგია.

შენიშვნა 2: საქსტატი ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ატარებს საყოველთაო აღწერას. 2014 წლის შემდეგ საყოველთაო აღწერა 2024 წლის ბოლოს ჩატარდა, შესაბამისად, განახლებული დემოგრაფიული მონაცემები 2025 წლის ბოლომდე გახდება ცნობილი.

დანართი #3


საფეხმავლო ტური - მულტიკულტურული თბილისი
ყვავილ ბეთლემის მაცხოვნის მობის ეკლესია
ბეთლემის (ფეთხაიის) მაცხოვნის მობის ეკლესია
ათონელ - ცვიცხლოთაყვანისმცემელთა ტაძარი
თბილისის დიდი სინაგოგა
სენეგალი ფანაჯანიოვის მოხუმენტი
ხიმძღერი ეკლესია
თბილისის ჯუმა მეჩეთი
Nikoloz Baratashvili Rise
Mtkvari
Nikoloz Baratashvili St
Aleksandr Pushkin St
Shota Rustaveli Ave
Shalva Dadiani St
Giorgi Leonidze St
Ivane Machabeli St
Daniel Chonqadze St
Lado Asatiani St
Amaghleba St
Shio Chitadze St
Askana St
Samghebro St
Betlemi St
Sololaki St
Firdousi St
Mtkvari

ალტერნატიული მარშრუტების გეგმა:

მიხეილ არამიანცი
სავარაუდო მოსანახულებელი ტურისტული ლოკაციები

1. არამიანცის სახელობის კლინიკა - 1902 წელს არამიანცმა სურვილი გამოთქვა, რომ 100 ათას მანეთს გაიღებდა ქალაქში საავადმყოფოს აშენებისათვის, რომელსაც მისი სახელი უნდა დარქმეოდა. მშენებლობა რამდენიმე წელს გაგრძელდა, საავადმყოფოს დასრულებას დაპირებული თანხა არ ეყო და დამატებით ხარჯი ზუბალაშვილებმა გაიღეს. 1909 წლის ბოლოს გახსნილ ამ საავადმყოფოს, რომელიც ქალაქს დაეთმო, დიდხანს საკუთარი სახსრებით არამიანცი ინახავდა. იგი თვითონ იხდიდა როგორც ავადმყოფთა მკურნალობის ხარჯს, ისე სამედიცინო პერსონალის ხელფასებსაც. საავადმყოფოში იდგა კავკასიაში პირველი რენტგენის აპარატიც, რომელიც ევროპიდან არამიანცმა პირადად ჩამოიტანა.
(წყარო: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა);

2. სასტუმრო „მაჟესტიკი“ (ახლანდელი თბილისი მერიოტი, რუსთაველის გამზირზე) - გოლოვინისა და ბარიატინსკის ქუჩების კვეთაზე ვინმე როტინოვის სახლი მდგარა, სადაც ფოტოგრაფ პეტრე განკევიჩს ატელიე ჰქონდა მოწყობილი. არამიანცმა ეს შენობა შეისყიდა და მომავალი სასტუმროს პროექტის შექმნა იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ, ტფილისსა და ბაქოში ცნობილ არქიტექტორს, გაბო ტერ-მიქელოვს მიანდო. არამიანცმა ტერ-მიქელოვი ევროპაში გაამგზავრა პროექტზე სამუშაოდ. შედეგად, 1915 წელს გოლოვინის გამზირზე აშენდა სასტუმრო “მაჟესტიკი”, რომელიც დღეს ჩვენთვის “თბილისი მარიოტით” არის ცნობილი. “მაჟესტიკის” მშენებლობა საკმაოდ ძვირი დაჯდა, რადგან არქიტექტურულად შენობა მომრგვალებული ფორმის იყო. (წყარო: forbes.ge);

3. სასტუმრო „არფასტო“ - არამიანცმა გოლოვინის (თანამედროვე რუსთაველის გამზირი) პროსპექტზე ააგო კიდევ ერთი მდიდრული სასტუმრო, რომელსაც შვილების სახელების პირველი ასოებისგან შემდგარი სახელი, “არფასტო” (არამი, ფლორა, ანა, სოლომონი, თამარა (უფროსი ვაჟის მეუღლე) და ოვანესი) უწოდა. დღეს ამ შენობაში შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტია განთავსებული. (წყარო: forbes.ge);

4. მემორიალური დაფა მაჩაბლის ქუჩაზე - ბიზნესმენის სახლი დღევანდელ მაჩაბლის ქუჩაზე მდებარეობდა, სადაც მემორიალური დაფა დღემდეა შემორჩენილი. (წყარო: marketer.ge).

ძმები სიმენსები
სავარაუდო მოსანახულებელი ტურისტული ლოკაციები

1. სიმენსების სახლი - საარქივო მასალების თანახმად, ძმები სიმენსები თბილისში, ლადო ასათიანის 30 ნომერში ცხოვრობდნენ. დღეს აქ განთავსებულია მემორიალური დაფა ძმები სიმენსების შესახებ.
(წყარო: palitranews).

2. ვერის სასაფლაო - Siemens-ის დამფუძნებლები - ძმები სიმენსები ვერის სასაფლაოზე არიან დაკრძალული.
(წყარო: storyline).

3. ძმები სიმენსების ქუჩა - 2023 წელს ორთაჭალაში მდებარე ერთ-ერთ ქუჩას ძმები სიმენსების პატივსაცემად მათი სახელი ეწოდა.

კირილე ზდანევიჩი
სავარაუდო მოსანახულებელი ტურისტული ლოკაციები

1. რუსთაველის გამზირის #16 - 1918 წელს თბილისში, რუსთაველის გამზირის #16-ში მდებარე სახლის სარდაფში დაარსებული კაფე „არგონავტთა ნავი“ ტფილისური კულტურული ცხოვრებისა და ქართული ავანგარდის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. ამ კაფეში კირილე ზდანევიჩის მიერ შესრულებული კედლის მხატვრობა უნიკალური იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ მსოფლიოში ძალიან მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი ზდანევიჩის მიერ შესრულებული კედლის მხატვრობა, საქართველოში კი ეს ერთადერთი იყო. (წყარო: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო).

2. ხელოვნების მუზეუმი - კირილე ზდანევიჩმა ფიროსმანის ნახატები სწორედ თბილისის ხელოვნების მუზეუმს გადასცა და მათი დათვალიერება შესაძლებელია დღესაც.

3. ძმები ზდანევიჩების ქუჩა - ძველ თბილისში ერთ-ერთ ქუჩას ძმები ზდანევიჩების პატივსაცემად მათი სახელი დაარქვეს. ზდანევიჩების ქუჩა ბეთლემის ქუჩიდან მეიდნისკენ ჩადის.

4. დიდუბის პანთეონი - კირილე ზდანევიჩი დასაფლავებულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ის 1969 წელს გარდაიცვალა.